

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“

სამეთვალყურეო საბჭოს

აუდიტის კომიტეტის დებულება

უფლებამოსილება და მიზანი

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული და მოქმედი სააქციო საზოგადოების - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ („კომპანია“) სამეთვალყურეო საბჭოს („სამეთვალყურეო საბჭო“) აუდიტის კომიტეტი („კომიტეტი“) შეიქმნა „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ 2021 წლის 27 ივლისს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

„კომიტეტის“ ძირითადი მიზანია დახმარება გაუწიოს „სამეთვალყურეო საბჭოს“ შემდეგი საკითხების ზედამხედველობაში: (1) „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების სისრულე, (2) „კომპანიის“ გარე დამოუკიდებელი აუდიტორის დამოუკიდებლობა, კვალიფიკაცია და ეფექტურობა და შიდა აუდიტორების საქმიანობის ეფექტურობა, და (3) „კომპანიის“ შესაბამისობა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებთან. „კომიტეტი“ ასევე ამზადებს გასასაჯაროებელ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საკანონმდებლო და მარეგულირებელი აქტების საფუძველზე.

„კომიტეტის“ ზემოაღნიშნული მიზნისა და ქვემოთ მოცემული მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისად, „კომიტეტს“ ენიჭება „კომპანიის“ ფინანსური და აუდიტთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის ან საქმიანობის ზედამხედველობის უფლებამოსილება და ყველა დასაქმებულს ეძლევა მითითება, ითანამშრომლოს მასთან, „კომიტეტის“ წევრების მოთხოვნის საფუძველზე. „კომიტეტი“ უფლებამოსილია, „კომპანიის“ ხარჯით, დაიქირაოს და დაამტკიცოს სპეციალური იურიდიული, ბუღალტრული აღრიცხვის ან სხვა კონსულტანტების ან ექსპერტების მომსახურების საფასური და დაქირავების სხვა პირობები, როგორც ამას საჭიროდ ჩათვლის ნაკისრი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესრულებისთვის. ამასთან, „კომპანია“ გამოყოფს „კომიტეტს“ მიერ განსაზღვრულ შესაბამის დაფინანსებას იმისათვის, რომ „კომიტეტმა“ გაიღოს მიმდინარე ადმინისტრაციული ხარჯები, რაც საჭირო ან მიზანშეწონილია „კომიტეტის“ მიერ მისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესრულებისთვის.

შეზღუდვები

მართალია „კომიტეტს“ ეკისრება აუდიტის კომიტეტის დებულებით („დებულება“) განსაზღვრული მოვალეობები და პასუხისმგებლობები, მის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებში არ შედის აუდიტის ჩატარება ან იმის დადგენა, არის თუ არა

„კომპანიის“ სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები ადეკვატური ან სრული, რაც „კომპანიის“ დირექტორთა საბჭოს წევრების პასუხისმგებლობაა, რომელსაც ხელმძღვანელობს „გენერალური დირექტორი“ („დირექტორთა საბჭო“). „დირექტორთა საბჭო“ (და არა „კომიტეტი“) ასევე პასუხისმგებელია უზრუნველყოს „კომპანიის“ მიერ მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციების და კორპორაციული პოლიტიკის დაცვა.

შემაღვენლობა

„კომიტეტი“ უნდა შედგებოდეს „სამეთვალყურეო საბჭოს“ სულ მცირე სამი წევრისგან, ყველა მათგანი უნდა იყოს დამოუკიდებელი, როგორც ამას მოითხოვს „კომპანიის“ „კორპორაციული მართვის კოდექსი“.

„კომიტეტის“ წევრებს, მათ შორის „კომიტეტის“ თავმჯდომარეს („თავმჯდომარე“) ნიშნავს „სამეთვალყურეო საბჭო“, რომლებიც თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ იქამდე, სანამ სათანადო წესით არ აირჩევიან და დამტკიცდებიან მათი შესაბამისი შემცვლელები, ან ასეთი წევრის თანამდებობიდან ვადაზე ადრე გადადგომამდე ან გათავისუფლებამდე. „სამეთვალყურეო საბჭოს“ უფლება აქვს, მიზეზით ან უმიზეზოდ, გაათავისუფლოს „კომიტეტის“ ნებისმიერი წევრი დაკავებული თანამდებობიდან. იმისათვის, რომ სათანადოდ და ეფექტიანად შეასრულოს ნაკისრი მოვალეობები და პასუხისმგებლობები, „კომიტეტის“ თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს ფინანსური განათლება, იყოს კვალიფიციური და კომპეტენტური შესაბამისი ტექნიკური ცოდნით.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები

„კომიტეტს“, მისი გადაწყვეტილების, უფლებამოსილებისა და მიზნის შესაბამისად, ეკისრება შემდეგი მოვალეობები და პასუხისმგებლობები (რომელიც თუ სხვაგვარად არ არის სპეციალურად მითითებული, უნდა შესრულდეს უწყვეტად, პერიოდულად, დროგამოშვებით და/ან როგორც ამას მიუთითებს ან დაადგენს „თავმჯდომარე“ ან მოქმედი კანონმდებლობა ან რეგულაცია).

1. ხელმძღვანელობასთან და დამოუკიდებელ აუდიტორთან ერთად განიხილავს წლიურ აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, მათ შორის მნიშვნელოვან საკითხებსა და გადაწყვეტილებებს ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის პრინციპებისა და პრაქტიკების შესახებ, და მარეგულირებელი და სააღრიცხვო ინიციატივების ზემოქმედებას „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებებზე. წლიური აუდიტებული ფინანსური ანგარიშგებების განხილვა ასევე მოიცავს ნებისმიერი ტრანზაქციის განხილვას, რომელთან დაკავშირებითაც ხელმძღვანელობამ მიიღო წერილი აუდიტორისგან.
2. აუდიტის დასრულების შემდეგ განიხილავს ფინანსურ ანგარიშგებებს, რომლებიც უნდა წარედგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს.

3. ხელმძღვანელობასთან და „კომპანიის“ დამოუკიდებელ აუდიტორთან ერთად განიხილავს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენამდე.
4. განიხილავს მთავარ საკითხებსა და ცვლილებებს „კომპანიის“ აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებსა და პრაქტიკებში და ფინანსური ანგარიშგების წარდგენაში, როგორც ეს შემოთავაზებულია დამოუკიდებელი აუდიტორის, შიდა აუდიტორების ან ხელმძღვანელობის მიერ, და განიხილავს ანალიზებს, რომლებიც მიუთითებს ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვან საკითხებსა და მსჯელობებზე, მათ შორის მარეგულირებელი და სააღრიცხვო ინიციატივების, ასევე ბალანსგარეშე ანგარიშგების სტრუქტურების ზემოქმედებაზე „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებებზე.
5. ინარჩუნებს ზედამხედველობის ფუნქციას „კომპანიაში“ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცესების განხორციელებასთან და შესრულებასთან დაკავშირებით და ანგარიშს წარუდგენს „სამეთვალყურეო საბჭოს“ რეკომენდებული გაუმჯობესებების შესახებ.
6. განიხილავს „კომპანიის“ სახელმძღვანელო პრინციპებს, პოლიტიკასა და პროცესებს „კომპანიის“ ფინანსურ კონტროლთან და პროცედურებთან დაკავშირებით, მათ შორის განიხილავს „კომპანიის“ დონეზე მნიშვნელოვანი რისკის საფრთხეებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებებზე, ოპერაციებზე, საქმიანობის უწყვეტობაზე, რეპუტაციაზე, „კომპანიის“ კუთვნილი ან „კომპანიის“ ბიზნეს ოპერაციებში გამოყენებული ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების სისტემების საიმედოობასა და უსაფრთხოებაზე. განიხილავს ღონისძიებებს, რომლებსაც მიმართა ხელმძღვანელობამ ასეთი საფრთხეების მონიტორინგისა და კონტროლისთვის. შიდა აუდიტის დეპარტამენტიდან იღებს „კომპანიის“ რისკის მართვის პროცესების მიმდინარე შეფასებებს.
7. როგორც „სამეთვალყურეო საბჭოს“ კომიტეტი, უშუალოდ პასუხისმგებელია დამოუკიდებელი აუდიტორის სამუშაოს ზედამხედველობაზე, მათ შორის „გენერალურ დირექტორს“, „დირექტორთა საბჭოსა“ და დამოუკიდებელ აუდიტორს შორის ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით არსებული უთანხმოებების გადაწყვეტაზე, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება დამოუკიდებელი აუდიტორის კომპენსაციის განსაზღვრას. დამოუკიდებელი აუდიტორი ანგარიშვალდებულია უშუალოდ „კომიტეტის“ წინაშე.
8. წინასწარ ამტკიცებს ყველა აუდიტორულ მომსახურებასა და ნებადართულ არა-აუდიტორულ მომსახურებებს (მათ შორის მომსახურების საფასურსა და პირობებს), რომელიც უნდა შესრულდეს „კომპანიისთვის“ მისი დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ და ადგენს დამოუკიდებელი აუდიტორის დაქირავების პოლიტიკასა და პროცედურებს აუდიტორული და ნებადართული არა-აუდიტორული მომსახურებების გაწევისთვის.
9. მინიმუმ ყოველწლიურად იღებს და განიხილავს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნას, რომელშიც აღწერილია დამოუკიდებელი აუდიტორის შიდა ხარისხის კონტროლის პროცედურები, და განიხილავს ნებისმიერ

არსებით საკითხს, რომელიც წარმოიშობა შიდა ხარისხის კონტროლის ბოლო ანალიზის ან დამოუკიდებელი ანალიზის, ან სახელმწიფო ან პროფესიული ორგანოების მიერ მოკვლევის ან გამოძიების პროცესში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებულ ერთ ან მეტ დამოუკიდებელ აუდიტთან დაკავშირებით, და განიხილავს ასეთი საკითხების გადაწყვეტისთვის გატარებულ ღონისძიებებს და ყველა სახის ურთიერთობას დამოუკიდებელ აუდიტორსა და „კომპანიას“ შორის.

10. მინიმუმ ყოველწლიურად განიხილავს დამოუკიდებელი აუდიტორის კვალიფიკაციას, საქმიანობის ეფექტურობასა და დამოუკიდებლობას, და დამოუკიდებელი აუდიტორისგან იღებს და მასთან ერთად განიხილავს აუდიტის დასკვნას მის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. ყოველ წელს განიხილავს წამყვანი პარტნიორის გამოცდილებასა და კვალიფიკაციას და განსაზღვრავს, შესრულდა თუ არა შესაბამისი პარტნიორის როტაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები. ასევე განიხილავს, არსებობს თუ არა თავად დამოუკიდებელი აუდიტორის როტაციის აუცილებლობა. „კომიტეტს“ უფლება აქვს ურჩიოს აქციონერს დამოუკიდებელი აუდიტორის გათავისუფლება, თუ ამას გარემოებები მოითხოვს, დამოუკიდებელი აუდიტორის დამოუკიდებლობისა და საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებლების განხილვის საფუძველზე.
11. აუდიტის ჩატარებამდე ხვდება დამოუკიდებელ აუდიტორს აუდიტის ფარგლების განხილვისა და დაგეგმვის მიზნით.
12. დამოუკიდებელ აუდიტორთან განიხილავს წლიურ აუდიტორულ შემოწმებასა და ნებისმიერ საკითხს, რომელიც შესაძლოა წარმოეშვას აუდიტორს აუდიტორული სამუშაოს შესრულების პროცესში და ხელმძღვანელობის პასუხიდან გამომდინარე. სხვა საკითხებთან ერთად განიხილვა უნდა მოიცავდეს ხელმძღვანელობის ნებისმიერ წერილს, ნებისმიერ შეზღუდვას საქმიანობების ფარგლებთან ან წვდომასთან დაკავშირებით მოთხოვნილ ინფორმაციაზე, ნებისმიერ მნიშვნელოვან უთანხმოებას ხელმძღვანელობასთან, და „კომპანიის“ შიდა აუდიტის განყოფილების პასუხისმგებლობების, ბიუჯეტისა და პერსონალით დაკომპლექტების საკითხების განხილვას.
13. „გენერალურ დირექტორთან“ და „დირექტორთა საბჭოსთან“ ერთად, რომელსაც ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებებზე და ინფორმაციის გამჟღავნებაზე, განიხილავს „კომპანიის“ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც წარედგინება ანალიტიკოსებსა და სარეიტინგო სააგენტოებს.
14. იღებს დასკვნებს დამოუკიდებელი აუდიტორისგან და ხელმძღვანელობისგან და განიხილავს „კომპანიის“ შიდა კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობასა და ეფექტურობას, მათ შორის ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და უსაფრთხოების სისტემებს შიდა კონტროლთან დაკავშირებით, ასევე ნებისმიერ მნიშვნელოვან შეუსაბამობებსა და არსებით სუსტ მხარეებს შიდა კონტროლის მექანიზმებში და არსებით ცვლილებებს კონტროლის მექანიზმებში, რომელიც „კომიტეტს“ წარუდგინა დამოუკიდებელმა აუდიტორმა, შიდა აუდიტორმა ან ხელმძღვანელობამ და ნებისმიერ

სპეციალურ აუდიტორულ ზომებს, რომლებიც მიღებულია მნიშვნელოვანი შეუსაბამობების ან არსებითი სუსტი მხარეების გათვალისწინებით. „კომიტეტი“ იღებს ანგარიშებს ხელმძღვანელობისგან და განიხილავს „კომპანიის“ მიერ ინფორმაციის გამჟღავნების კონტროლის და პროცედურების ადეკვატურობასა და ეფექტურობას.

15. იღებს ანგარიშებს „გენერალური დირექტორისგან“ და „დირექტორთა საბჭოსგან“ და განიხილავს შესაბამისობის პროცესებს „კომპანიის“ „ეთიკისა და ქცევის კოდექსთან“ და „კორპორაციული მართვის კოდექსთან“ დაკავშირებით.
16. ადგენს „კომპანიის“ მიერ მიღებული საჩივრების მიღებისა და განხილვის პროცედურებს, ბუღალტრულ აღრიცხვასთან, აღრიცხვის კონტროლთან ან აუდიტის საკითხებთან დაკავშირებით, და სადავო ბუღალტრული აღრიცხვის ან აუდიტორული საკითხების კონფიდენციალური, ანონიმური წარდგენის პროცედურებს თანამშრომლების მიერ.
17. „კომპანიის“ იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელთან / მთავარ იურისტთან და დამოუკიდებელ აუდიტორთან ერთად განიხილავს (1) იურიდიულ საკითხებს, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ზეგავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებებზე, (2) ნებისმიერ თაღლითურ ქმედებას, ხელმძღვანელობის ან სხვა თანამშრომლების მონაწილეობით, რომელთაც მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვთ „კომპანიის“ შიდა კონტროლში, (3) შესაბამისობის პოლიტიკას, და (4) ნებისმიერ არსებით ანგარიშს ან გამოკითხვებს, რომლებიც მიღებულია მარეგულირებელი ორგანოებიდან, სამთავრობო უწყებებიდან ან თანამშრომლებისგან, რომლებმაც წამოჭრეს არსებითი საკითხები „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგებებისა და ბუღალტრული აღრიცხვის ან შესაბამისობის პოლიტიკის შესახებ.
18. „კომპანიის“ დამოუკიდებელ აუდიტორებთან ერთად განიხილავს აუდიტორების შეფასებას იმის შესახებ, თუ როგორ ადგენს, ითვალისწინებს და ამჟღავნებს „კომპანია“ დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობებსა და გარიგებებს, მათ შორის ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ვლინდება აუდიტის შედეგად, დაკავშირებულ მხარეებთან „კომპანიის“ ურთიერთობებსა და ტრანზაქციებთან მიმართებით.
19. აძლევს რჩევებს „სამეთვალყურეო საბჭოს“ მოქმედ კანონმდებლობასა და რეგულაციებთან „კომპანიის“ პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისობასთან დაკავშირებით.
20. განიხილავს კანდიდატებს „კომპანიის“ „ფინანსური დირექტორისა“ და მაკონტროლებლის პოზიციებზე და უზრუნველყოფს ზედამხედველობას შიდა აუდიტის ხელმძღვანელის დანიშვნასთან, საქმიანობის შეფასებასა და შეცვლასთან დაკავშირებით.
21. დამოუკიდებელ აუდიტორთან და შიდა აუდიტის ხელმძღვანელთან ერთად განიხილავს შიდა აუდიტის დებულებას, შიდა აუდიტის გეგმის დაგეგმილ ფარგლებსა და შედეგებს, მათ შორის ბიუჯეტს, პასუხისმგებლობებსა და საკადრო საკითხებს.
22. იღებს შიდა აუდიტის ხელმძღვანელის ან მისი უფლებამოსილი პირის მოხსენებებს დაახლოებით ოთხჯერ წელიწადში ან მისი ან „კომიტეტის“ მოთხოვნით, განიხილავს „კომპანიის“ შიდა აუდიტის განყოფილების

ნებისმიერ საკითხს, მათ შორის „კომპანიის“ შიდა აუდიტის განყოფილების საქმიანობას, მნიშვნელოვანი შიდა აუდიტისა და შიდა აუდიტორული შემოწმებების შედეგებს და ნებისმიერ სხვა საკითხს.

23. ადგენს დამოუკიდებელი აუდიტორის თანამშრომლების და ყოფილი თანამშრომლების დაქირავების მკაფიო პოლიტიკას.
24. განიხილავს „კომიტეტის„ საქმიანობის მაჩვენებლებს ყოველწლიურად.
25. „სამეთვალყურეო საბჭოს“ წარუდგენს ანგარიშს მისი საქმიანობების, მოკვლევებისა და რეკომენდაციების შესახებ „კომიტეტის“ თითოეული კრების შემდეგ და ოქმების და საჭიროების შემთხვევაში სპეციალური პრეზენტაციების მეშვეობით „სამეთვალყურეო საბჭოს“ აცნობებს „კომიტეტის“ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესრულების პროცესში გამოვლენილი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.
26. განიხილავს (შესაბამის შემთხვევაში) და რეკომენდაციას აძლევს „სამეთვალყურეო საბჭოს“ დაამტკიცოს სათანადო დამატებები ან ცვლილებები „კომიტეტის“ საქმიანობებში, მოვალეობებში და პასუხისმგებლობებში ან წინამდებარე „დებულებაში“.
27. „კომიტეტის“ საქმიანობების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების და წინამდებარე „დებულების“ განხილვის ხელშეწყობის მიზნით:
 - ა. ყოველწლიურად ახორციელებს თვითშეფასებას, მათ შორის შესაბამის შემთხვევაში, გამოკითხავს „სამეთვალყურეო საბჭოს“, „გენერალურ დირექტორს“ და „დირექტორთა საბჭოს“ კომიტეტის როლის შესახებ, შესაძლო ცვლილებების დადგენის მიზნით და შედეგებს განიხილავს „სამეთვალყურეო საბჭოსთან“ ერთად. წინამდებარე „დებულება“ ხელახლა უნდა შეფასდეს შეფასების შედეგების შესაბამისად.
 - ბ. განიხილავს და ხელახლა აფასებს წინამდებარე „დებულების“ ადეკვატურობას არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

კრებები

„კომიტეტი“ უნდა შეიკრიბოს იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭიროდ ჩათვლის, თუმცა სულ მცირე ოთხჯერ წელიწადში. კვორუმს შეადგენს „კომიტეტის“ კრებაზე დამსწრე წევრთა ორმოცდაათი პროცენტი (50%) ან მეტი.

„თავმჯდომარე“ პასუხისმგებელია დაგეგმოს „კომიტეტის“ ყველა კრება და „კომიტეტის“ წევრებს ყოველი კრების წინ წარუდგინოს წერილობითი დღის წესრიგი.

დასწრება

„კომიტეტს“ შეუძლია „კომპანიის“ ნებისმიერ ხელმძღვანელ პირს ან თანამშრომელს, „კომპანიის“ გარე აუდიტორს, „კომპანიის“ სადაზღვევო აგენტს და/ან „კომპანიის“ მრჩეველს სთხოვოს „კომიტეტის“ კრებაზე დასწრება ან სხვაგვარად შეხვდეს „კომიტეტის“ ნებისმიერ წევრს ან კონსულტანტებს. „კომიტეტი“ უნდა შეხვდეს „გენერალურ დირექტორს“ და

„დირექტორთა საბჭოს“ სხვა წევრებს ცალკე აღმასრულებელ სხდომებზე სულ მცირე ყოველწლიურად ნებისმიერი იმ საკითხის განსახილველად, რომლის განხილვაც სურს „კომიტეტს“, „გენერალურ დირექტორს“ ან „დირექტორთა საბჭოს“ სხვა წევრებს კონფიდენციალურად. „კომიტეტს“ შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ აწარმოოს დისკუსიები კონსულტანტებთან ან ექსპერტებთან „გენერალური დირექტორის“ ან „დირექტორთა საბჭოს“ სხვა წევრების მონაწილეობის გარეშე.

ოქმები

„კომპანიის“ კორპორაციული მდივანი / ადმინისტრაციული თანაშემწე ან „თავმჯდომარის“ მიერ დანიშნული პირი, რომელიც მოქმედებს მდივნის უფლებამოსილებით კრების მიზნებისთვის, მოამზადებს თითოეული კრების ოქმს და ოქმის ასლს წარუდგენს „კომიტეტის“ წევრებსა და „სამეთვალყურეო საბჭოს“ წევრებს, რომლებიც არ არიან „კომიტეტის“ წევრები.